ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპული საქართველო-თბილისი"-ს წევრების

1. **გიორგი გაბაშვილის**

- ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი
- ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი

2. **დათო ჟღენტის**

- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი
- სარევიზიო კომისიის წევრი

3. **ელენე ოზაშვილის**

- გარემოს დაცვის კომისიის წევრი
- იურიდიუ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი

2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

წინამდებარე ანგარიში შედგენილია ფრაქციის 2020 წლის 1-ლი იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის განმავლობაში შესრულებულ სამუშაოებზე დაყრდნობით.

2020 წლის საქმიანობის ანგარიში

ანგარიში შედგენილია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ევროპული საქართველო-თბილისი“-ს წევრებმა 2020 წლის 17 ოქტომბერს გამართეს საჯარო შეხვედრა მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთან და წარუდგინეს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ. ანგარიშის განხილვისას უპასუხეს ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს და მოისმინეს მათი წინადადებები სამომავლო გეგმების შედგენასთან დაკავშირებით.

განსხვავებით წინა წლების შეხვედრებისა, რომლებიც ტარდებოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, მიმდინარე წლის შეხვედრა გაიმართა ღია ცის ქვეშ, რაც გამოწვეული იყო მსოფლიოში მიმდინარე პანდემიით. შეხვედრის დროს გათვალისწინებული იყო რეკომენდაციები, რომლებიც გაცემულია შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპული საქართველო-თბილისი“ ბოიკოტის რეჟიმში ანხორციელებდა მასზე დაკისრებულ საქმიანობას. შესაბამიასდ, ფრაქციის წევრებმა დაწვრილებით განიხილეს ის მიზეზები ამომრჩევლებთან, რის გამოც მათ კონსულტაციების შედეგად, ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება გამოეყენებინათ პოლიტიკური პროტესტის ეს ფორმა. გარდა ზემოთხსენებული საკითხისა, ფრაქციის წევრებმა ამომრჩევლებს ასევე მიაწოდეს დეტალური ინფორმაცია წლის მანძილზე გატარებული აქტივობების/საქმიანობის შესახებ.

ბოიკოტის მიუხედავად, წლის განმავლობაში აქტიურად ტარდებოდა ფრაქციის სხდომები. მიმდინარეობდა ინტენსიური კორესპონდენცია სახელმიწფო სტრუქტურებთან, მერიის და მის შესაბამის სამსახურებთან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის, ასევე მოქალაქეებისათვის შუამდგომლობის გაწევის და დახმარების მიზნით. წლის განმავლობაში ფრაქციის შუამდგომლობის შედეგად, ათეულობით მოქალაქეს დაუფინანსდა მედიკამენტოზური მკურნალობა. მათ ასევე მიიღეს ერთჯერადი ფინანსური დახმარება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გამგეობებში გადაგზავნილი საშუამდგომლო წერილების საფუძველზე.

გიორგი გაბაშვილი

დათო ჟღენტი

ელენე ოზაშვილი